ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №776846

ნომერი: AR1116705

თარიღი : 15.03.2013

გაცემის თარიღი : 05.07.2013

გაცნობის თარიღი : 07.07.2013

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ბაგების სტუდქალაქის სამხრეთ აღმოსავლეთით წყნეთის გზატკეცილის მიმდებარედ. საცხოვრებელი კომპლექსი "ოდა";

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ქუთათელაძე პ/ნ 01009007500
- თბილისი პ.ქავთარაძის ქ. N 17 ბ. 41

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი #AR1116705 განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, ბაგების სტუდქალაქის სამხრეთ აღმოსავლეთით, წყნეთის გზატკეცილის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი კომპლექსი „ოდა“-ს

განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის შეთანხმებას, გაცნობებთ, რომ სამსახურის მიერ აღმოჩენილი იქნა გარკვეული ტიპის ხარვეზები, კერძოდ:

1. უფლებრივი ზონირების რუკაზე დასაფიქსირებელია შესაბამისი შტამპი: შეთანხმებულია ქ. თბილისის მერიის სსიპ არქიტექტურის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი – გ. გოგოლაშვილი;
2. უფლებრივი ზონირების რუკაზე, ნაცვლად „განაშენიანების რეგულირების გეგმის“ დასაფიქსირებელია: „კორექტირებული განაშენიანების რეგულირების გეგმა“;
3. საპროექტო კოეფიციენტების გრაფაში, სახლი #14-თვის, სახლი #15-თვის და სახლი #16-თვის, განაშენიანების კოეფიციენტი, ნაცვლად კ-1=0,4, უნდა იყოს კ-1=0,3;
4. სახლი #17-თვის ინტენსივობის კოეფიციენტი ნაცვლად კ-2=0,6, უნდა იყოს კ-2=0,5;
5. მიწის ნაკვეთის საერთო განაშენიანების კოეფიციენტი, ნაცვლად კ-1=0,26 უნდა იყოს კ-1=0,3;
6. ზემოაღნიშნულის შესაბამისად, გასწორებული იქნას უფლებრივი ზონირების რუკაზე ყველა გამიჯნული ნაკვეთისთვის გამოტანილი პირობითი აღნიშვნები.
7. გამომდინარე იქედან, რომ მოხდა მიწის ნაკვეთის საზღვრების კონფიგურაციის ცვლილება, საჭიროა, მოთხოვნა დააყენოთ აღნიშნულ ტერიტორიაზე მომზადებულ #284 (15.03.2011) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალებაში შესაბამისი ცვლილების განხორციელებაზე.
8. ამასთან, გაცნობებთ, რომ არასწორედ არის მითითებული შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის რეკვიზიტები (შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი).
9. წარმოსადგენია მიწის ნაკვეთის მესაკუთრის შესაბამისი ფორმით დამოწმებული თანხმობა განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის შეთანხმებისთვის.
10. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან.

ზემოაღნიშნული ხარვეზების გასწორების შემდგომ, მოთხოვნა უნდა დააყენოთ ახალი განაცხადით, რის შემდგომაც სამსახური დაუბრუნდება აღნიშნული საკითხის განხილვას.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge